გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ გოგინაშვილის

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 156 საკითხის განხილვაში.

2022 წლის 12 ივლისამდე ვიყავი ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე. დავესწარი ფრაქციის 6 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 98 საკითხის განხილვაში. ამჟამად ვარ უფრაქციო საკრებულოს წევრი.

ვარ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიების წევრი. დავესწარი სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 6 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 26 საკითხის განხილვაში. ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის 5 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 39 საკითხის განხილვაში.

- ვარიანის თემში ჩატარდა შეხვედრა სადაც განხილული იქნა სარწყავი არხის გაწმენდითი და სათავის მოწყობის საჭიროება. მივმართე მელიორაციის სამსახურს. პირველ ეტაპზე ჩატარდა გაწმენდითი სამუშაოები, მაგრამ რადგან არხი არ იყო სახელმწიფო ბალანსზე საჭიროებდა, სახელმწიფო ბალანსზე აღრიცხვას რათა მელიორაციის სამსახურს ჩაეტარებინა სამუშაოები. რაზეც მივიღე თანხმობა და არხი აიყვანეს სახელმწიფო ბალანსზე.

- ფხვენისის თემში იყო სასმელი წყლის პრობლემა, რადგან არტეზიულ ჭაზე დამწვარი იყო საქაჩი მოტორი. დამიკავშირდა ფხვენისის მოსახლეობა. ჩემს მიერ მიმართული იქნა წყლის კომპანიაზე და საქმის კურსში ჩაყენებული იქნა მაჟორიტარი დეპუტატი. ჭლის მიწოდება აღუდგა მოსახლეობას, გამოიცვალა მოტორი.

- გორში ჭალის დასახლებაში რომელაშვილების 181 კორპუსი საჭიროებს ფასადის შეკეთებას არ აქვს მისასვლელი გზა. მოსახლეობამ რამდენიმე წლის წინ აკრიფა თანადაფინანსებაზე თანხები, მაგრამ მერიამ მიზეზით გაძვირა მასალები არ ჩაატარა სამუშაოები. წვიმაში ძალიანჯ რთულდება გადაადგილება ფეხით, კორპუსი კი დამახინჯებულია.

- რამდენიმე შეხვედრა ჩატარდა სხვადასხვა თემში, მოსავლის გაყიდვასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. სადაც მოსახლეობას მივაწოდე ინფორმაცია სახელმწიფო სუფსიდიების შესახებ

- პრობლემადაა ქცეული სოფლელში მცხოვრები მოქალქეებისთვის პროდუქციის მოსაყვანად საჭირო შხამქიმიკატების ვარგისიანობის თემა. ამიტომ სახელმწიფომ

ჩაატარა შემოწმებები მაღაზიებში, მაგრამ შემოწმებები მარავალჯერადად უნდა ხდებოდეს.

აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. ჩართული ვარ მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში მათ შორის: პირის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენ სამუშაო ჯგუფში, მუნიციპალიტეტის 2021-2023 წლების პრიორიტეტების მომზადების სამუშაო ჯგუფში და სამოქალაქო ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფში.

ვარ მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრი, მონაწილეობას ვიღებ სახელმწიფო, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ გამართულ შეხვედრებში, რომელიც შეეხება გენდერის საკითხებს. ასევე ვარ, გორის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების 2021-2022 წლების სტრატეგიის მიხედვით, ამავე სტრატეგიის განხორციელების ეფექტური კოორდინაციისათვის შექმნილ სამუშაო ჯგუფში.

მთელი წლის წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები საკრებულოში მოსულ მოქალაქეებს სხვადასვა საკითხებთან დაკავშირებით.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ გოგინაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ. გორი 2022 წლის 26 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომერე: დავით რაზმაძე

ფრაქციის სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ვარიანის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა, და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი გვანცა ხაბელაშვილი;

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე;

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ გოგინაშვილის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მიხეილ გოგინაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მიხეილ გოგინაშვილს რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მიხეილ გოგინაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის

პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: გურამ განჯელაშვილმა და გიორგი საათაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: დავით რაზმაძე;

საკრებულოს წევრი : მიხეილ გოგინაშვილი;